



6598/4-2/21 2 29062021

6598/4-2/21

29-06-2021

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209³ მუხლისა და 239-ე მუხლის თანახმად, იმავე კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს (მგზავრების უბილეთოდ მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა მიწისზედა ელექტროტრანსპორტით (ტროლეიბუსი, ტრამვაი), მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებით) განიხილავს და შესაბამის ოქმებს ადგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

ა) 2015 წლიდან დღემდე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის - ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანის რამდენი ფაქტი გამოვლინდა, როგორია ამ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და მისი აღსრულების მდგომარეობა;

ბ) იგივე დროის პერიოდში, გამოვლინდა თუ არა თექვსმეტ წლამდე ასაკის ბავშვის დამოუკიდებლად, თანმხლები პირის გარეშე უბილეთოდ მგზავრობის ფაქტები და როგორია ასეთ შემთხვევებში რეაგირების ზომები.

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე



N 01/4078
14/07/2021

4078-01-2-202107141858



საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი 2021 წლის 29 ივნისის №6598/4-2/21 წერილის (კომპანიაში რეგისტრაცია 7591/01; 02.07.2021 წ.) შესაბამისად გაცნობებთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილების პირველი მუხლის საფუძველზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (შემდგომში ასკ) 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ მიენიჭა 2015 წლის პირველი იანვრიდან. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 აგვისტოს №45-73 დადგენილებით (გამოქვეყნების თარიღი 20.08.2019; ძალაში შესვლის თარიღი: 04.09.2019) ცვლილება განხორციელდა მითითებულ №19-70 დადგენილებაში და კომპანიას ასევე მიენიჭა უფლებამოსილება ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანისას, საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე. შესაბამისად, ზემოხსენებულ სამართალდარღვევაზე კომპანიის მიერ საჯარიმო ქვითრის შედგენა ხორციელდება 2019 წლის 4 სექტემბრიდან და ჯამში შედგენილია 46 (ორმოცდაექვსი) საჯარიმო ქვითარი. ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანისას ჯარიმის ოდენობა, ისევე როგორც უბილეთოდ მგზავრობისას, შეადგენს 20 (ოცი) ლარს, ხოლო კანონით დადგენილ ვადაში მისი გადაუხდელობის შემთხვევაში პირს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.

თექვსმეტ წლამდე ასაკის ბავშვის უბილეთოდ მგზავრობის შემთხვევაში პირის მიმართ კანონმდებლობის შესაბამისად ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ დგება. შესაბამისად კომპანიის უფლებამოსილი თანამშრომელი აღნიშნულთან დაკავშირებით რეაგირებას ვერ მოახდენს. რაც შეეხება უშუალოდ ფაქტს, თექვსმეტ წლამდე ასაკის მოქალაქის უბილეთოდ მგზავრობის ფაქტები ყოველთვიურად შეადგენს დაახლოებით საშუალოდ 5 შემთხვევას.

პატივისცემით,

გიორგი შარკოვი

გენერალური დირექტორი

ვაგზლის მოედანი #2, 0112 თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 235 77 77; ფაქსი: (995 32) 293 41 41
ს/ნ 202886788; www.ttc.com.ge



#2 Vagzali Square, 0112 Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 235 77 77; Fax: (995 32) 293 41 41
I/N 202886788; www.ttc.com.ge

